საიდ. №65023/03
IR1095555

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა № 08-03/13

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის" სააპელაციო პალატის კოლეგიამ შემდეგი შემადგენლობით: ი. ღვალაძე (თავმჯდომარე), ე. ქემაშვილი, დ. ჭიჭინაძე, ქ. კილაძის მდივნობით განიხილა კომპანია „პერკინს ჰოლდინგზ ლიმიტედ" („Perkins Holdings Limited") (დიდი ბრიტანეთი) სააპელაციო საჩივარი, რომლითაც მოითხოვება საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2012 წლის 23 ოქტომბრის №1993/03 ბრძანების ბათილად ცნობა, იმ ნაწილში, რომლითაც განცხადებულ საერთაშორისო გამოსახულებით სასაქონლო ნიშანს (საიდ. №65023/03) უარი ეთქვა დაცვის მინიჭებაზე 37-ე კლასის განცხადებული საქონლისა და მომსახურების მიმართ. აღნიშნულ ბრძანებაზე თანდართული ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, განცხადებული სასაქონლო ნიშანი ვიზუალურად იდენტურია მადრიდის შეთანხმების ოქმით კომპანიის „Varity Europe Limited" (მის.: Eastfield, Peterborough. PE1 5NA, GB) სახელზე 37-ე კლასის მსგავსი საქონლისათვის რეგისტრირებული და საქართველოზე გავრცელებული გამოსახულებითი სასაქონლო ნიშნისა (IR681123, თარიღი: 27.06.1997.წ.), რაც ქმნის ნიშნებს შორის აღრევისა და შესაბამისად მომხმარებლის შეცოდმაში შყევანის შესაძლებლობას 37-ე კლასის მსგავსი საქონლისათვის. ზემოთქმულიდან გამომდინარე, „სასაქონლო ნიშნების შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის თანახმად განცხადებულ სასაქონლო

ნიშანს ნაწილობრივ ეთქვა უარი დაცვის მინიჭებაზე.

კოლეგიამ განიხილა სააპელაციო საჩივარი, ექსპერტიზის მასალები და მოისმინა რა მხარის ახსნა-განმარტებები

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

აპელანტი კომპანიის წარმომადგენელი თამარ კოჭლამაზაშვილი არ ეთანხმება აღნიშნულ გადაწყვეტილებას და თვლის, რომ არ არსებობს განცხადებული გამოსახულებითი სასაქონლო ნიშნისათვის (IR1095555) 37-ე კლასის განცხადებული საქონლის მიმართ რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველი.

აპელანტი აღნიშნავს, რომ დაპირისპირებული ნიშნის მფლობელმა კომპანიამ 1999 წელს შეცვალა თავისი სახელწოდება და შეიტანა სათანადო ცვლილება ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციაში (ისმო). ცვლილების შედეგად საერთაშორისო განაცხადის IR681123 მფლობელად ისმო-ს ბაზაში მითითებულია ,,Perkins Holdings Limited”. ამდენად, აპელანტი თვლის, რომ ვინაიდან განცხადებული და დაპირისპირებული ნიშნის მფლობელი ერთი და იგივე კომპანიაა ,,Perkins Holdings Limited” (მის.: Eastfield, Peterborough. PE1 5NA, GB) არ არსებობს განცხადებული სასაქონლო ნიშნისათვის სრული განცხადებული საქონლის მიმართ დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის საფუძველი.

შესაბამისად, აპელანტი მოითხოვს განცხადებული სასაქონლო ნიშნისათვის დაცვის მინიჭებას განცხადებული საქონლისა და მომსახურების სრული ჩამონათვლის მიმართ და საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2012 წლის 23 ოქტომბრის №1993/03 ბრძანების ბათილად ცნობას, იმ ნაწილში, რომლითაც განცხადებულ საერთაშორისო გამოსახულებით სასაქონლო ნიშანს (საიდ. №65023/03) უარი ეთქვა დაცვის მინიჭებაზე 37-ე კლასის განცხადებული საქონლისა და მომსახურების მიმართ.

კოლეგიამ განიხილა მხარის არგუმენტაცია და მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს და ბათილად უნდა იქნეს ცნობილი საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2012 წლის 23 ოქტომბრის №1993/03 ბრძანება, იმ ნაწილში, რომლითაც

განცხადებულ საერთაშორისო გამოსახულებით სასაქონლო ნიშანს (საიდ. №65023/03) უარი ეთქვა დაცვის მინიჭებაზე 37-ე კლასის განცხადებული საქონლისა და მომსახურების მიმართ.

კოლეგია დაეთანხმა აპელანტს და აღნიშნავს, რომ დაპირისპირებული ნიშნის მფლობელმა 1999 წელს შეიცვალა სახელწოდება და მისი ამჟამინდელი სახელწოდებაა „Perkins Holdings Limited" (მის.: Eastfield, Peterborough. PE1 5NA, GB). აღნიშნული ცვლილება არ იქნა გათვალისწინებული ექსპერტიზის ჩატარების დროს. ამდენად, დღეის მდგომარეობით დაპირისპირებული და განცხადებული ნიშნის მფლობელი ერთი და იგივე პირია „Perkins Holdings Limited" (მის.: Eastfield, Peterborough. PE1 5NA, GB).

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, კოლეგია მიიჩნევს, რომ არ არსებობს „სასაქონლო ნიშნების შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტით დადგენილი განცხადებული სასაქონლო ნიშნისათვის დაცვის მინიჭებაზე ნაწილობრივ უარის თქმის საფუძველი და ბათილად უნდა იქნეს ცნობილი საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2012 წლის 23 ოქტომბრის №1993/03 ბრძანება, იმ ნაწილში, რომლითაც განცხადებულ საერთაშორისო გამოსახულებით სასაქონლო ნიშანს (საიდ. №65023/03) უარი ეთქვა დაცვის მინიჭებაზე 37-ე კლასის განცხადებული საქონლისა და მომსახურების მიმართ.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ გაითვალისწინა ზემოაღნიშნული გარემოებანი და იხელმძღვანელა „სასაქონლო ნიშნების შესახებ" საქართველოს კანონის მე-16 მუხლით, სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2011 წლის 18 მარტის №02 ბრძანებით დამტკიცებული საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის დებულების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. კომპანიის „პერკინს ჰოლდინგზ ლიმიტედ" („Perkins Holdings Limited") სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.
2. ბათილად იქნეს ცნობილი საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2012 წლის 23 ოქტომბრის №1993/03 ბრძანება, იმ ნაწილში, რომლითაც განცხადებულ საერთაშორისო გამოსახულებით სასაქონლო ნიშანს (საიდ. №65023/03) უარი

ეთქვა დაცვის მინიჭებაზე 37-ე კლასის განცხადებული საქონლისა და მომსახურების მიმართ.

3. საერთაშორისო განცხადებულ გამოსახულებით სასაქონლო ნიშანს (IR1095555, საიდ. №65023/03) მიენიჭოს დაცვა ასევე 37-ე კლასის განცხადებული საქონლისა და მომსახურების ჩამონათვლის მიმართ.
4. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში გადაწყვეტილების გაცნობის/ჩაბარების დღიდან ერთი თვის ვადაში. (მის.: მცხეთა, სამხედროს ქ. №17).

კოლეგიის თავმჯდომარე:	ი. ღვალაძე
წევრები:	ე. ქემაშვილი
	დ. ჭიჭინაძე